ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7494954

ნომერი: AR11092332

თარიღი : 22.05.2025

გაცემის თარიღი : 30.05.2025

გაცნობის თარიღი : 30.05.2025

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გიორგი ათონელის ქუჩა N 11/ანტონ ფურცელაძის ქუჩა N 23/ვახტანგ ორბელიანის ქუჩა N 31;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ტარიელ კულულაშვილი პ/ნ 01015003569
- კრწანისის 16 კ 8

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება,

პასუხად გაცნობებთ, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის N3/181 ბრძანების თანახმად, ქ.თბილისში, ქუჩა გიორგი ათონელი , N 11/23 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ვახტანგ ორბელიანი , N 31 - ში არსებულ შენობას მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი და „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები წარმოადგენს მცირე სარეაბილიტაციო / სარეაბილიტაციო სამუშაოებს. აქედან გამომდინარე, განაცხადი უნდა დარეგისტრირდეს შესაბამის ნომენკლატურაში: ელექტრონული განაცხადები > მშენებლობის ნებართვა>კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი > მცირე სარეაბილიტაციო. აღნშნული ქმედების განხორციელების მიზნით სამსახურის მიერ გააქტიურებულია ნომენკლატურის ცვლილების უფლება;

ამასთანავე გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. საპროექტო ობიექტის განთავსების მიზნით საჭიროა მოიძებნოს ალტერნატიული განთავსების ადგილი;
2. კონდიციონერის მოწყობასთან დაკავშირებით გათვალისწინებულ იქნას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების, მე-18 მუხლის, მე-10 პუნქტის, „გ“ ქვეპუნქტის თანახმად: სარეცხის საშრობი-გასაფენი, გათბობის, კონდიცირების და სხვა მსგავსი მოწყობილობები/დანადგარები უნდა განთავსდნენ შენობის შიგნით, სპეციალურად გამოყოფილ სათავსოებში. მათი არ არსებობის შემთხვევაში, დასაშვებია მათი განთავსება ექსტერიერის ვიზუალურად ნაკლებად აღქმად ნაწილებზე, ერთიანი მოწესრიგებული სახით. ასეთ შემთხვევაში, საჭიროა მათი შემოსვა-შენიღბვა დეკორატიული ელემენტებით (ჟალუზი, ეკრანი და სხვა) და მათი არქიტექტურულ-მხატვრული მხარის ფასადებთან ერთად ერთიან სისტემაში გადაწყვეტა. დაუშვებელია ასეთი მოწყობილობა-დანადგრების განთავსება ქუჩის მხარე ფასადზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კონკრეტული შენობა/ფართი არ იძლევა ამ მუხლის მოთხოვნათა დაცვით კონდიცირების მოწყობილობა/დანადგარების განთავსების შესაძლებლობას. მათი განთავსება შესაძლებელია ქუჩის მხარეს, ნაკლებად აღქმად ადგილას, დეკორატიული ელემენტებით (ჟალუზი, ეკრანი და სხვა)შემოსვა/შენიღბვის პირობით.
3. წარმოდგენილ იქნას საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, მუხლი 49, პუნქტი 4' - ის შესაბამისად დამუშავებული არქიტექტურული პროექტი. (სპეციალისტის მიერ ხელმოწერილი დეტალური განმარტებითი ბარათი, არსებული და საპროექტო ფოტო და ფოტომონტაჟი);
4. წარმოდგენილ იქნას საპროექტო სამუშაოების შესაბამისად დამუშავებული კალენდარული გეგმა-გრაფიკი;
5. რუკაზე მოინიშნოს 01.18.03.010.003.01.524 საკადასტრო ერთეულის ფართი და თუ სამუშაოები გადადის სხვის საკუთრებაში არსებული ფართის ნაწილზე, წარმოდგენილ იქნეს შესაბამისი მესაკუთრის თანხმობა.

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში განახლებული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი. იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება სამსახური უფლებამოსილია აღნიშნული განაცხადი დატოვოს განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.